

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №32

ქ. თბილისი

3.08.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;
ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სოფიკო ლობჯანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;

მაკა ლაშხია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი;
მიხეილ გიორგაძე - კურიკულუმის ექსპერტი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან ჭკუასელი - განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ზაქარია ქიტიაშვილი - განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი;
რუსუდან სანაძე - განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
ირმა გრძელიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
გოდერძი ბუჩაშვილი
ლალი ბერიშვილი
ანჟელა აბულაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო
დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის
მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ,
ელიზბარ ელიზბარაშვილმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და
დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ
ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო
პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო
უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის
ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო
დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^ე მუხლის
მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის,
თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღი სწესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის
განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი
განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული
საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ
მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა
წარმოდგენილი დღის წესრიგი.
წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.



1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)
განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი 03
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრებმა სოფიკო ლობჯანიძემ და დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადეს თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, პროგრამა იყო უნიკალური, იმ თვალსაზრისით, რომ I-VI კლასებში მოიცავდა სრულ პაკეტს. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტი განხორციელებას იწყებდა პირველივე წლიდან. ექსპერტმა განაცხადა, რომ სამიზნე ნიშნულები წარმოიჩენილი იყო გააზრებულად, რისი დანერგვაც სასარგებლო იქნებოდა იმ დაწესებულებისთვისაც, რომელსაც ექსპერტი წარმოადგენდა. პროგრამის მიმართ არ არსებობდა რეკომენდაციები, ხოლო რაც შეეხებოდა რამოდენიმე რჩევას, მათი გათვალისწინება დაწესებულების გადასაწყვეტი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს და განაცხადა, რომ შეფასების პროცესი იყო თანამშრომლობითი და მეტად ჰგავდა პროფესიულ დიალოგს. ის იმედოვნებდა, რომ პროგრამა მომავალში წარმატებით განხორციელდებოდა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამაში კარგად ჩანდა თუ რა იყო რეფლექსურობა, რომელიც სტუდენტს უნდა გამოემუშავებინა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, პროგრამაში იგრძნობოდა იმის გააზრებულობა, რომ კურსდამთავრებულს სამუშაო ექნებოდა ბავშვებთან, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენდა ისიც, რომ ის მოიცავდა ლიბერალ არტს/ლიბერალურ მეცნიერებებს მნიშვნელოვანი წილით. მისი მოსაზრებით უნდა მომხდარიყო ინსტიტუციონალიზება იმისა, რომ რადგანაც თბილისში უკვე არსებობდა გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ამ მიმართულებით პროგრამის განვითარების კუთხით. განხორციელებულიყო კონსულტირება რეგიონალური დაწესებულებებისა, რომლებიც ასევე ახორციელებდნენ ანალოგიურ პროგრამებს და მომხდარიყო გამოცდილების გაზიარება. ეს საჭირო იყო თავად იმ პროფესიის - მასწავლებლის - მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელსაც სტუდენტები მოცემული პროგრამების ფარგლებში შეიძენდნენ.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ ის იზიარებდა ნათელა სახოკიას მოსაზრებას და ამასთანავე თვლიდა, რომ საჭირო იყო პროცესისათვის დამატებულიყო გარე გამოცდაც, რადგან პროგრამა შესაძლოა კარგი ყოფილიყო, თუმცა უნდა შემოწმებულიყო მისი რეალიზებაც.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო მიმართულება, მისი მონოპოლიზება ერთი დაწესებულების ხელში არასოდეს გამოიღებდა კარგ შედეგს. როგორც წინა სხდომაზე განხილულ ანალოგიურ პროგრამასთან მიმართებაშიც იქნა ნახსენები, მსგავს პროგრამებში მას “აქილევსის ქუსლად” ბუნებისმეტყველების სწავლება მიაჩნდა. მნიშვნელოვანი იყო მიდგომა, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო ბუნებისმეტყველების ახალი ტიპის მასწავლებელი. მან იკითხა, როგორი იყო ამ მიმართულებით დაწესებულების ხედვა და “რეცეპტი”.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ამოსავალი იყო სწორედ ის, რომ I-VI კლასებში ბუნებისმეტყველების ხედვა უნდა ყოფილიყო ინტეგრირებულ მიდგომაზე დაფუძნებული და იგივე მიდგომა მოქმედებდა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებითაც. პროგრამაში არ იყო ცალკე გამოყოფილი ქიმიის, ფიზიკის ან სხვა დარგის სწავლება, რადგანაც მომხდარიყო ბუნებისმეტყველების, როგორც ერთი დარგის შეფასება. ამასთანავე, პროგრამაში იყო ცალკე კურსი - ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული სწავლება.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ვინ იყო კურსის ხელმძღვანელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კურსს ხელმძღვანელობდა მარიკა კაპანაძე. ამასთანავე, პროგრამაში ჩართულები იყვნენ ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტებიც.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, როგორც ნახსენები იქნა პრაქტიკის კომპონენტი რომელიც იწყებოდა პირველი კურსიდან. მან იკითხა, რა საქმიანობით იქნებოდნენ დაკავებულები სკოლებში პირველკურსელები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი კურსი მოიცავდა შესავალს მასწავლებლის პროფესიაში. სტუდენტი პირველ კურსზე აკვირდებოდა სკოლებში მასწავლებლების საქმიანობას, ორგანიზაციულ მექანიზმს და ეცნობოდა სკოლის

სტრუქტურას. ეს იყო პასიური პრაქტიკა, სადაც სტუდენტი უმეტესად დაკვირვების რეჟიმში იყო. რაც შეეხებოდა უშუალოდ გაკვეთილებზე დასწრებას, ეს იწყებოდა მეორე კურსიდან, სასწავლო კურსიდან - სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლის ფარგლებშიც სილაბუსში დეტალურად იყო გაწერილი რა ხდებოდა ვიზიტის ფარგლებში. ხდებოდა გაცნობა რა უნდა გაეკეთებინა სტუდენტს გაკვეთილზე, შემდგომ უშუალოდ დასწრება გაკვეთილზე და მისი დასრულების შემდგომ რეფლექსია, გაკვეთილის განხილვა და აღსანიშნავი იყო, რომ სტუდენტები ზოგჯერ გარკვეულ რჩევებს აძლევდნენ მასწავლებლებს, რასაც ისინი ითვალისწინებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე შემცირდა ზოგადსაუნივერსიტეტო კურსები. ამ კურსებიდან დარჩა "შესავალი თანამედროვე აზროვნებაში", რადგან გარდა იმისა რომ ეს იყო საუნივერსიტეტო ბრენდი, კურსში შედიოდნენ ისეთი ავტორები, რომლებმაც თანამედროვე განათლების სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი. ასევე შენარჩუნებულ იქნა ინგლისური ენის 24 კრედიტი და "შესავალი მასწავლების პროფესიაში". დანარჩენი კურსები ამოღებულ იქნა სპეციალური ბლოკებიდან. არჩევითი კურსები წარმოდგენილი იყო საკმაო რაოდენობით და წარმომადგენდა ჩაღრმავებულ კურსებს. როდესაც სტუდენტი გაივლიდა ყველა სავალდებულო კურსს, ის აკეთებდა თვითშეფასებას და განსაზღვრავდა რა ტიპის არჩევითი კურსების არჩევა სურდა.

16:27 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:32 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-9

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი 03
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300


სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრებმა ლევან გორდეზიანმა და გელა გელაშვილმა განაცხადეს თვითაცილება განსახილველ საკითხთან მიმართებით ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობის შედეგად. პირველი რეკომენდაციის თანახმად, საერთაშორისო პროფილის განვითარების მიზნით მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა ფაკულტეტის საერთაშორისო პუბლიკაციებს. საჭირო იყო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისება. ამასთანავე, მიზანშეწონილი იყო მოწვეული

 6

პერსონალისათვის მხარდაჭერის აღმოჩენა, რომ მათ დროულად დაესრულებინათ დოქტორანტურა და ჩართულიყვნენ კვლევაში აკადემიურ პერსონალთან ერთად, რაც ხელს შეუწყობდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის ბალანსს. რეკომენდირებული იყო გაძლიერებულიყო პრაქტიკის კომპონენტი. ექსპერტები თვლიდნენ, რომ პრაქტიკის მიმართულებით პროგრამის გასაძლიერებლად პროგრამაში სკოლებისა და მასწავლებლების ჩართულობა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პირველივე სემესტრიდან. რეკომენდირებული იყო გარკვევით ყოფილიყო განსაზღვრული ეფექტური მასწავლებლის პრინციპები, რის საფუძველზეც სკოლები შეძლებდნენ მასწავლებლის არჩევას პრაქტიკის კომპონენტისათვის. ბოლო რეკომენდაცია შეეხებოდა საბიბლიოთეკო რესურსებსა და სამეცნიერო ბაზებს. ექსპერტებს მიჩნდათ, რომ აუცილებელი იყო თანამშრომლობა განათლებასთან დაკავშირებულ ძირითად ბაზებთან, როგორებიც იყო Taylor and Francis, Routledge და სხვა. ამასთანავე, საბიბლიოთეკო რესურსის გაძლიერება ხელს შეუწყობდა ფაკულტეტს საერთაშორისო პუბლიკაციების გამოცემაში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა იყო პრინციპულად ახალი, რადგან უწინ არსებობდა საბაკალავრო პროგრამა, ხოლო მოცემული პროგრამა იყო სამაგისტრო პროგრამა რაც საკუთარ თავში მოიაზრებდა განსხვავებულ შედეგს. პროგრამა ითვალისწინებდა სამაგისტრო ნაშრომს, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კვლევითი უნარების განვითარება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად კულტურული სხვაობებისა და განსხვავებისა მუშაობის სტილში, დაწესებულება კმაყოფილი იყო უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით, რადგან ამით მიღებულ იქნა გამოცდილება, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა შემდეგი პროგრამების მომზადებისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ფაკულტეტის საერთაშორისო პუბლიკაციების შესახებ განაცხადა, რომ პუბლიკაციები ჰქონდა როგორც მუდმივ ასევე მოწვეულ პერსონალს, თუმცა ეთანხმებოდნენ ექსპერტებს და თვლიდნენ, რომ საჭირო იყო მათი რიცხვის ზრდა და მუშაობა ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ იმუშავეს პროგრამაში მოწვეული მასწავლებლების ჩართულობასთან დაკავშირებით. კერძოდ იმისათვის, რომ მოწვეულ პერსონალში ჰყოლოდათ პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომელთა მუშაობის სპეციფიკა გარკვეულ თემებთან მიმართებაში განსხვავებული და უმჯობესი იქნებოდა. პროგრამაში ჩართული იყო 10 პრაქტიკისი მასწავლებელი, რომელთაგანაც 8 დაწესებულების დოქტორანტი იყო. არსებობდა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მომხდარიყო მათი დისერტაციების დაცვისათვის ხელშეწყობა, რაც ბუნებრივია დაწესებულების ინტერესშიც შედიოდა და აუცილებლად განხორციელდებოდა სამომავლოდ. მოწვეული კადრის ყოლას გააჩნდა რიგი უპირატესობები და დაწესებულება ხელს შეუწყობდა მალე დაცულიყო დიერტაციები, რათა ისინი სრულყოფილად ჩართულიყვნენ პროცესში. რაც შეეხებოდა ბაზების საკითხს, ეს გარღვეულწილად მათ სურვილზე დამოკიდებული საკითხი არ იყო. დაწესებულებას ჰქონდა მცირედი დროით ექსპერტთა მიერ შეთავაზებული Taylor-ის პროგრამა, რაც სულ რამოდენიმე თვე გამოიყენებოდა, თუმცა ამჯერად მოხდებოდა ინიცირება და დაწესებულების მხრიდანაც იგეგმებოდა ზრუნვა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მოსაზრებები პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდებოდა ადამიანური რესურსის განვითარებას, მუშაობა უკვე დაწყებული იყო. რაც შეეხებოდა

ინტერნაციონალიზაციას, ზოგჯერ კონკრეტულ პროგრამებს ამ მიმართულებით პრობლემა ჰქონდათ, თუმცა ეს საკითხი მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტისათვის, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი გამოცდილება და ამ მიმართულებით მუშაობა იქნებოდა გაძლიერებული.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით კადრი მზადდებოდა სამი საგანისთვის, მას აინტერესებდა რომელი საგნებისათვის ხდებოდა მომზადება მეხუთე - მეექვსე კლასებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეხუთე-მეექვსე კლასებში მზადდებოდა ან ქართული, ან მათემატიკა, ან ბუნებისმცოდნეობა, იმისდა მიხედვით თუ რა არჩევანს გააკეთებდა სტუდენტი. მას შეეძლო ორი საგანიც აერჩია.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პროგრამა არ ამზადებდა მასწავლებელს საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის, თუმცა პროგრამაში მისი მოდული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ასე იყო, რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით ეს საგნები ისწავლებოდა, ამიტომაც დაწესებულებამ გადაწყვიტა რომ პირველიდან მეოთხე კლასის დონეზე მასწავლებელს, რომელიც შედიოდა მოსწავლეებთან ამ კლასებში, უნდა ჰქონოდა ცოდნა აღნიშნული მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ თუ ამ ლოგიკას მიჰყვებოდნენ, მაშინ საჭირო იყო სამოქალაქო განათლების მიმართულებით სწავლებაზე გაკეთებულიყო აქცენტი, რადგან აღნიშნულ ეტაპზე შემოდიოდა ახალი კურსი "მე და საზოგადოება".

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი არსებობდა და მას გადიოდა ყველა სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საგანში არ იყო სწავლების მეთოდის საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელი მას დაეთანხმა და განაცხადა, რომ პროგრამაში იყო საქართველოს ისტორია, მსოფლიოს ისტორია და სხვა საგნების მეთოდოლოგია, რითიც მათი შეხედულებით უნდა შეესაბამებოდა ნახსენები მიმართულებაც. ამასთანავე "მე და საზოგადოება" მნიშვნელოვანი წილით იყო შესული ბუნებისმცოდნეობის კურსში.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ კურსები - შესავალი პედაგოგიკაში და პედაგოგიკა ფაქტობრივად იდენტურ საგნებს წარმოადგენდა. ორივე იყო სავალდებულო. მან იკითხა, რატომ იკვეთებოდა ასეთი გადაფარვები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა იყო სპირალური, რაც ნიშნავდა იმას, რომ სტუდენტს უნდა მოესმინა ერთი და იგივე თემატიკა რამოდენიმეჯერ, პერიოდულად, მაგრამ არა იდენტური სახით.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ მას რჩებოდა აღნიშნული განცდა, რადგან ლიტერატურა იყო ერთნაირი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი მას არ დაეთანხმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესავალი პედაგოგიკაში გულისხმობდა ყველა თემის მოცვას ზოგადი სახით, ხოლო პედაგოგიკაში იგივე თემები ღრმად და საფუძვლიანად ისწავლებოდა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ მან ვერ დაინახა, რომ პროგრამა ჯეროვნად უზრუნველყოფდა დარგობრივი მასახიათებლით განსაზღვრულ სასწავლო პროცესის შეფასების შედეგზე გასვლას. მართალია რამოდენიმე სილაბუსში თითო ლექცია მოიცავდა აღნიშნულ საკითხს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისად დაფარული. მისი რჩევა იყო



შესულიყო შეფასების კურსი პროგრამაში ან გაძლიერებულიყო მეთოდური სილაბუსები შეფასების საკითხებით, რადგან დაწყებით კლასებში განმავითარებელი შეფასების სწორად გამოყენება უმნიშვნელოვანესი იყო განსაკუთრებით სწავლების დაწყებით საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა საბჭოს წევრს იმაში, რომ განმავითარებელი შეფასებისათვის საჭირო იყო 15 კვირის გამოყოფა. მათმა მაგისტრანტმა ჩაატარა კვლევა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ განმავითარებელი შეფასების მიმართულებით ლიტერატურა ქართულ ენაზე გაცილებით ჩამოუვარდებოდა განმსაზღვრელი მიმართულებით არსებულ ლიტერატურას.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანძემ უპასუხა, რომ ახლახანს გამოცემულ იქნა ახალი წიგნი - დიფერენცირებული სწავლება და განმავითარებელი შეფასება. სამწუხაროდ, აღნიშნული მხარე მასწავლებლებისთვის დღესდღეობით ყველაზე სუსტ მხარეს წარმოადგენდა. მან თქვა, რომ როგორც ხედავდა პროგრამას აქცენტი ჰქონდა საგნობრივ ცოდნაზე, ვიდრე მეთოდოლოგიაზე.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და განაცხადა, რომ სტუდენტი მიდიოდა პროგრამაზე სკოლის მერხიდან, ხოლო სკოლაში არსებული პრობლემა ცოდნის გაცემის ხარისხთან დაკავშირებით, ყველასათვის ცნობილი იყო. თუ სტუდენტი კარგად დაეუფლებოდა საგანს, მას უვითარდებოდა შესაბამისი უნარები. პრობლემა დღესდღეობით იყო ის, რომ მასწავლებლები პროფესიონალურად არ ფლობდნენ კონკრეტულ ტესტებთან, სადაც მასწავლებლების ცოდნის დონე ძალიან მძიმე იყო. მასწავლებელს ჯერ უნდა გაეაზრებინა რა ესწავლებინა და მხოლოდ შემდეგ ის, თუ როგორ ესწავლებინა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანძემ განაცხადა, რომ აღნიშნული მიდგომა გასაგები იყო და ბუნებრივია საგნის ცოდნა მნიშვნელოვანი კომპონენტს წარმოადგენდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა რომ საგნობრივ ცოდნას უნდა გადაეფარა მეთოდოლოგიის ნაწილი. უმჯობესი იქნებოდა ორივე უნარის პარალელურ რეჟიმში გამომუშავება.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რადგანაც რეკომენდაცია არსებობდა პრაქტიკის თემასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა ხომ არ იკვეთებოდა პრობლემები სკოლებთან თანამშრომლობისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თვითშეფასებაში აღნიშნული იყო ის, რომ პროგრამის ფარგლებში ყველაზე დიდი გამოწვევა იყო პრაქტიკა, სკოლებში არსებული ვითარებიდან გამომდინარე. სტუდენტი 60 კრედიტის ოდენობით უნდა ყოფილიყო სკოლაში, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო იმის გადაწყვეტა, თუ სად მოხდებოდა მისი გაშვება და რომელ მასწავლებელთან, ვინაიდან სტუდენტი პრაქტიკის პროცესში უნდა გაცნობოდა სასწავლო გარემოს. სკოლასთან უნდა გაფორმებულიყო მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სკოლას ჰქონდა ვალდებულება, მიეცა კრედიტი იმ მასწავლებლისთვის, რომელსაც პრაქტიკანტი ეყოლებოდა, თუმცა პრობლემა იყო ის, რომ კარგ მასწავლებლებს აღნიშნული კრედიტები უკვე მიღებული ჰქონდათ. საჭირო იყო რეგულაციების შემუშავება. დაწესებულებას უნდა შესძლებოდა შესაბამისი ანაზღაურების ფასად მასწავლებლის დაქირავება, მოწვევა, თუმცა ამას ართულებდა შესყიდვების კანონი, რომელიც ფაქტობრივად დაწესებულებას სკოლის ტერიტორიის შესყიდვას ავალბდა. როდესაც სკოლაში მიდიოდა სტუდენტი პრაქტიკაზე, მას უნდა გაჰყოლოდა პროფესორიც. ეს არ იყო გაწერილი პროცესი, რადგან ფაქტობრივად ხდებოდა კეთილი ნების ხარჯზე.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა იკითხა, დასრულდა თუ არა ის ძველი კონრაქტები და პირობები, რაც ადრე ჰქონდა დაწესებულებას ამ მიმართულებით.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი კონტრაქტები ახლაც არსებობდა, მაგრამ მაშინ ხდებოდა დაქირავებული მასწავლებლებისთვის შრომის ანაზღაურება.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ შეიძლებოდა გამოსავალი ყოფილიყო ამ მასწავლებლების ჩართვა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასწავლებლების ჩართვა პროგრამაში მოხდა, თუმცა მათი შრომა ანაზღაურდებოდა ჩატარებული საათების მიხედვით და გამოდიოდა ისე, რომ პრაქტიკა კვლავაც ცალკე რჩებოდა. ამასთანავე, აღნიშნული რთულ საკითხს წარმოადგენდა იმ დატვირთვიდან გამომდინარე, რაც მასწავლებლებს ჰქონდათ, რადგან მათ ცალკე დრო სჭირდებოდათ უშუალოდ სკოლისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული პრობლემა მათ მიერ ასახული იქნა თვითშეფასებაშიც.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მის გაკვირვებას იწვევდა ის, რომ არსებობდა რეკომენდაცია ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული დაწესებულებისათვის წესით პრობლემა არ უნდა ყოფილიყო.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ ნათქვამი, რომ გარკვეულ ბაზებზე წვდომა არ არსებობდა, მისთვისაც გასაოცარი იყო იმ დაწესებულების პირობებში, რომელსაც რესურსი გააჩნდა და უზარმაზარი ბიბლიოთეკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა კონკრეტულ ბაზას, ზოგადად კი დაწესებულება არაერთ ბაზას ფლობდა. ამ კონკრეტული ბაზის შესყიდვა მოხდებოდა დაწესებულების მიერ. რაც შეეხებოდა მთლიანად ექსპერტთა დასკვნას, დასკვნა იყო სრულიად მისაღები, რადგანაც უმეტესად გამომდინარეობდა თვითშეფასებიდან, რომელიც იყო რეალური და ითვალისწინებდა ყველა იმ გამოსასწორებელ გარემოებას, რომელიც ჰქონდა დაწესებულებას და პროგრამას.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგი ფასდებოდა კრებისითი გამოცდით, მაგრამ მან ვერსად ნახა კრებისითი გამოცდის კრიტერიუმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კრიტერიუმები არ იყო შეტანილი, რადგან მათი საჭიროება დგებოდა მოგვიანებით, 5 წელში და მათი შეცვლა აუცილებლად გახდებოდა საჭირო. ამიტომაც მოხდა ზოგადი ფრაზის მითითება, რომ გამოცდის საკითხები იქნებოდა რელევანტური შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ გამოცდა მაინც შეამოწმებდა თეორიულ ცოდნას. შესაძლებელი იყო სტუდენტს ჰქონოდა თეორიული ცოდნა, მაგრამ თავი ვერ გაერთმია პრაქტიკისათვის. სამიზნე ნიშნული პროგრამას ჰქონდა სწორედ კრებისითი გამოცდა და სამაგისტრო ნაშრომი. მისი აზრით საჭირო იქნებოდა პრაქტიკის შეფასებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი აფასებდნენ პრაქტიკასაც, რადგან პირდაპირ შეფასებას გვერდს ვერავინ აუვლიდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რადგანაც რეკომენდაცია შეეხებოდა საერთაშორისო პუბლიკაციებსაც, რამდენად მარტივი განსახორციელებელი იყო საერთაშორისო პუბლიკაციების ქონა მოცემულ დარგში ან რამდენად არსებითად მნიშვნელოვანი, რადგანაც ზოგადად კვლევითი უნარის გაუმჯობესება აუცილებლად იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიების გამოქვეყნებას არ გულისხმობდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ლოგიკა იყო ის, რომ რადგანაც პროგრამა მოიცავდა სამეცნიერო ნაშრომს, აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომის



ხელმძღვანელისთვის საჭირო იყო შეხება ჰქონოდა პუბლიკაციებთან, თუმცა ჟურნალის ხარისხი ბუნებრივია სხვადასხვანაირი შეიძლება ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საერთაშორისო პუბლიკაციების ქონა მარტივი არ იყო, თუმცა იყო შესაძლებელი და არსებობდა შესაბამისი მხარდაჭერა დაწესებულებისგან. არსებობდა გრანტები და სწორედ ერთ-ერთი მათგანის შედეგი იყო ის, რომ შეიქმნა პროგრამის ღერძი. გათვალისწინული იქნა, რომ კვლევების წარმოება მოხდებოდა 3 სხვადასხვა მიმართულებით - წმინდად მეცნიერებისთვის, საზოგადოებისთვის და მასწავლებლისთვის. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობდა, თუმცა მოხდებოდა გაძლიერება.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ მას ძალიან მოეწონა ფაქტი, რომ ერთ-ერთ სილაბუში ლიტერატურაში გამოყენებული იყო "წიგნიერება". ეს იყო კარგი სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებელს ასწავლიდა თუ რა მოიაზრებოდა წიგნიერებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათემატიკისა და ქართულის მოდულები შექმნილი იქნა იმ პირების მიერ, რომლებიც მუშაობდნენ სკოლაში და კარგად ხედავდნენ საჭიროებებს.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, თუ რა იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის თემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა მოიცავდა სამ ნაწილს - საგნობრივი, პედაგოგიური და მეთოდური კომპეტენციების ფლობას. განსჯის საგანი იყო ის, ამ სამი მიმართულებიდან ნაშრომი რომელი სფეროდან უნდა აერჩია სტუდენტს. ექსპერტები თვლიდნენ, რომ ასე გამიჯვნა მართებული არ იქნებოდა და თითოეული ნაშრომი უნდა ყოფილიყო ადეკვატური იმ სწავლის შედეგისა, რის საშუალებასაც პროგრამა იძლეოდა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლოზიანიძემ განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ითვალისწინებდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო პრაქტიკის კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის იზიარებდა აღნიშნულ შეხედულებას. პროგრამის კურსდამთავრებულსა და კონკრეტული დარგის სპეციალისტს შორის უნდა ყოფილიყო განსხვავება, ამიტომაც პროგრამა ეყრდნობოდა პედაგოგიკურ-მეთოდიკურ კომპონენტს.

17:16 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:57 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 27^გ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელი საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ ცენტრმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი.

საბჭოს რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს მოსწავლეთა შეფასების კომპონენტი (როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი);
- რეკომენდირებულია სილაბუსებში განახლდეს მოძველებული ლიტერატურა;
- რეკომენდირებულია პროგრამაში ასახული პრაქტიკის კომპონენტი გაიწეროს თანმიმდევრულად და სტრუქტურულად (აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფსაც აქვს მიცემული დაწესებულებისთვის, თუმცა საბჭომ საჭიროდ მიიჩნია რეკომენდაციისათვის უფრო მკაფიო და კონკრეტული სახის მიცემა).

18:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ნინო ჩანადირი

